



ზაზა ბერიშვილი  
ZAZA BERISHVILI



**ზაზა ბერძენიშვილი**  
**ZAZA BERDZENISHVILI**



რომელ სარკმელს გვიხსნის მხატვარი სამყაროს უკიდევანო სივრცეში? საით მივყავართ და რა საიდუმლოს გვიზიარებს? მეტაფიზიკური სიღრმეებისაკენ მიგვაცილებს თუ უკან გვაბრუნებს რეალურ სამყაროში? როგორი განცდები მოაქვს - ადამიანის არსებობის, რომელ იდუმალ თუ განცხადებულ შრეებს ეხება? ეს კითხვები ლოგიკურად ჩნდება ყოველთვის, ხელოვნებასთან შეხებისას.

ზაზა ბერძენიშვილის სურათებიც პასუხია ამგვარ კითხვებზე - სამყაროს და ადამიანის განუყოფელ ერთობლიობაზე, მწუხარებისა და სიხარულის კანონზომიერ თანაარსებობაზე, ოცნებათა გარდაუვალობაზე... პასუხი კითხვაზე, რომელიც ჩვენი არსებობის ყველაზე სათუთ სიღრმეებს ეხება და ზაზა ბერძენიშვილის შემოქმედებაში სამყაროს აღქმის ნაივური მოდელით იკვეთება, რომელიც ამავდროულად, უცნაურად უკავშირდება უძველეს არქექტიკულ კოსმოგონიურ სისტემებს. ამიტომაა, რომ მხატვრის ნამუშევრებში ერთი შეხედვით ჩვეულებრივი საგნები თუ სცენები მისტიური ქმედების ელფერს იღებს. მხატვრის ინტერპრეტაციით, ნახატებში გადმოცემული სცენები, ძირითადად შედგენილი საბავშვო თამაშის რეპერტუარით, ისეთი საგანგებო მნიშვნელოვნებითაა განმსჭვალული, რომ დისტანცირდება თავისი პირველადი შინაარსიდან და სხვა მნიშვნელობით და ემოციით იტვირთება..

ამიტომ, თითქოსდა ბავშვის თვალთა აღქმული და ბავშვის ხელით დახატული ფერადი სახლები და თეთრი ბაზილიკები, უკიდურესად მარტივი, კუბისებრი მოცულობის კორპუსებით, იდეოგრამის ესთეტიკით ზემოქმედებს და მშვიდი და დაცული მარადიული ადგილსამყოფელის მომაჯადოებელი მომხიბვლელი იტვირთება.

მხატვარი ხან ზემოდან დასცქერის მათ - თითქოს ცის სიშორიდან ხატავს სადღაც ქვემოთ, მიწისა და ცის უხილავ შესაყართან ჩაკარგულ შენობებს და ჯვრიან ბაზილიკებს - ხანაც შემაშფოთებელი სიდიადით აღმართავს ტაძარს ჩვენს წინაშე, სურათის მთელ სიმაღლეზე თეთრი, მონუმენტური სილუეტით. ბაზილიკების ეს მოტივი, რომელიც ზაზა ბერძენიშვილს შემოაქვს ქართულ მხატვრობაში, ასოციაციურად მოგვაგონებს უძველეს და ტრადიციულ კოსმოგონიურ მითოლოგიას: ცა და დედამიწა და მათი შემაერთებელი ტაძარი - სამყაროს უნივერსალური მოდელი, რომლის მთლიანობას ნახატებში კანონზომიერად ავსებს ცაზე მნათობი და ადამიანების ან ცხოველების ფიგურები, სიმბოლოდ ქცეული უცნაურად დეფორმირებული „ბავშვის“ ნახატის სტილისტიკით, ფიგურა - ფონის კონტრასტით და ფერის გრადაციით.

მხატვარი, თითქოს, თითოეული ნამუშევრით პერსონალურად ეთხოვება და ამავე დროს, ვერ შორდება იმ ეპოქას, როცა ყველაფერი: ცა და დედამიწა, მნათობები, ადამიანები, ცხოველები და მცენარეები - ერთი მთლიანი, ორგანული სამყაროს თანაბარუფლებიანი ნაწილი იყო. თითოეული სურათი ამ სამყაროს დაკარგვით გამოწვეული წუხილია და ყოველ მათგანში, ზაზა ბერძენიშვილი ამგვარი სამყაროს რეკონსტრუირებას მიმართავს, მის უპირატესობას აჩვენებს. მაგრამ ეს არ არის რომანტიკული მიმართება - დიადი ისტორიების დრო უკვე დასრულდა - ეს უფრო პოსტმოდერნისტული მეტანარაციებია, სემიოტიკური სიგნალებია, უფრო შეტყობინებაა, ვიდრე თხრობა. ინტერპრეტაციული დისკუსიებია, ერთი ძირითადი „ტექსტის“ გაერცობაა, რომლისათვის მხატვარი საკუთარ ანბანს, ნიშან-სახეთა ისეთ სისტემას ქმნის, რომლებიც სიმბოლოთა კატეგორიამდეა აყვანილი - გამარტივების და პირობითობის საშუალებით და უძველესი არქექტიკების თანამედროვე მოდიფიკაციას წარმოადგენს. მაგალითად, ადამიანი - ფრინველი, ზეცისაკენ აყვარებული მზერით და ფრთებით ხელების ნაცვლად - მითოსულ იკაროს მოგვაგონებს. „ფრენის მცდელობა“ - განუხორციელებელი სურვილების სიმბოლო. მისი შემოქმედება - ეს არის ზრდასრული ადამიანის ცნობიერებაში არსებული „ბავშვად ყოფნისას“ ბედნიერების განცდის ყოველწამიერი აღდგენის და შენარჩუნების მცდელობა...

ზაზა ბერძენიშვილს ქართულ მხატვრობაში სახისმეტყველების საკუთარი სისტემა შემოაქვს. ეს სახე - ნიშნები, ფაქტობრივად, ფერადი ფიგურატიული იდეოგრამებია, რომლითაც იქმნება „ტექსტი“ და ხშირად ვარიაციულად მეორდება სურათიდან სურათში, მაგრამ იცვლება მისი ფერწერული „მოდელი“, რის გამოც ერთი და იგივე ფაბულა სხვადასხვა ნამუშევარში სრულიად განსხვავებულ ემოციურ ინტონაციას იძენს და ეს მრავალფეროვნება ფერის გრადაციით არის მიღწეული. ფერით მხატვარი განსაცვიფრებელ ეფექტს აღწევს, არამარტო ზეთით, არამედ ქაღალდზე პასტით, გუაშითა და პასტელით შესრულებულ ნამუშევრებში, რომლებიც ფერწერის მრავალშრიანობის შთაბეჭდილებით მოქმედებენ.

ფერს ყველგან ძვირფასი თვლების ელვარება აქვს. ფერის გრადაციის შესაძლებლობების გამოვლენა და ჰარმონია კონტრასტით - მხატვრის სტილის უპირატესობაა. მისი ზედმიწევნით ფაქიზი ფერწერა ესთეტიზმისა და დეკორატიულობის ორიგინალურ ვარიანტს გვთავაზობს, სადაც დეკორატიულობა ემოციის გამოხატვის მეთოდია და არა თავისთავადი ეფექტი

მხატვრის სურათების უმრავლესობას ღამის ატრიბუტიკა ახლავს. ამ მხატვრის მნათობი მთვარეა, ღამის ნიშანი და ღამე, რომელიც თავისთავადაა საიდუმლოს მატარებელი, ზაზა ბერძენიშვილის პერსონაჟებისათვის მოქმედების ძირითადი არეალია. მაგრამ ღამის სიბნელე ზაზა ბერძენიშვილთან ფერადია - „შუიანი ღამეა“, რომელიც შავიდან თეთრამდე ყველა ფერსა და ნიუანს იტევს და მაინც ღამეა, განცდით, განწყობით, ფერადი ღამე - ზურმუხტისფერი და ოქროსფერი, ნარინჯისფერი და ცისფერი, ფერის უსასრულო გრადაციით და ამ ღამეულ მდუმარებაში, საგანგებოდ გაზუნდოვებულ სივცეში, თითქოს მიცურავენ თეთრი ბაზილიკები და უცნაური ფიგურები: ფრთოსანი ადამიანები, თეთრი ცხენები, ჯამბაზები, მთრთოლვარე ყვავილები... და უცნაურად დეფორმირებული ნაცნობი საგნები.

ზაზა ბერძენიშვილის მოღვაწეობა 80-იანი წლებიდან იწყება. 80-იანელთა თაობა ძველი და ახალი სამყაროს ზღვარზე იდგა და ამ კრიზისულ პერიოდში მოახერხა და ახალი ეტაპი შექმნა ქართულ მხატვრობაში. საყოველთაო ნიჰილიზმის დროს, როდესაც გარემოში შემზარავი მოვლენები მიმდინარეობდა, რაც ადამიანის ცნობიერებაში ტრადიციულ, სულიერ ორიენტირებს ანგრევდა, 80-იანელთა თაობა ქმნიდა ახალ, პოსტმოდერნისტულ კულტურას. ამ თაობამ ქართულ კულტურაში, შემოიტანა გრძნობადშემეცნებითი აზროვნების ახალი ტიპი, ნიშანთა და მხატვრულ სახეთა საკუთარი სისტემა, სემანტიკური კოდირების მეთოდი. ზაზა ბერძენიშვილი ამ თაობას ეკუთვნის და გამოირჩევა კიდევ მისგან. მისი შემოქმედება – ეს არის თავისებური რეაქცია რეალობაზე: რაც უფრო კრიზისულია გარემო, მით უფრო მშვიდი და ჰარმონიულია მისი სამყარო, მაგრამ ყოველთვის დრამატიზმის აკომპანიმენტით.

ამგვარად, დეჰუმანიზებულ გარემოში, მისი გზა ჰუმანიზმია, რომელიც ყოველი სურათიდან იფრქვევა გასაოცარი ფერადოვნებით.

ზაია წიქორიძე

\*1. „ნატურმორტი მწვანე ფონზე“ ქაღალდი, პასტელი. ‘Still – Life on Green’ pastel on paper, 21X31,9cm. 2017



“Which window does the artist open in the boundless space of the Universe? Where does he take us and what secrets does he share? Is he leading us into metaphysical depths or returning us to the real world? Which emotions does he bring on us – which hidden or visible layers of human existence does he touch?” these questions logically emerge while dealing with art.

Thus, Zaza Berdzenishvili’s works are also answers to these questions on: indivisible union of the Universe and the human being, natural coexistence of sorrow and joy, inevitability of dreams... The answer to the question that concerns the most delicate depths of our existence and brings us back to the Origin.

Therefore, seemingly ordinary things, scenes or actions always get mystical air. According to the painter, every action is permeated with something important, symbolizes some feeling or is an embodied sign of some emotion. His basilicas are a touch with eternity. They are a symbol of remorse caused by the loss of the natural epoch of the Universe. It is not only the iconographic symbol of faith but has also an enchanting charm of the eternal pier. Most of Zaza Berdzenishvili’s pictures bear attributes of the night: the moon, symbol of the night, is his star. The night, which is a carrier of mystery, is the main realm of activities of his characters. However, in Zaza Berdzenishvili’s paintings, the night darkness is colourful – “it’s sunny night,” which contains all colours and shades from white to black and yet, it’s the night with all its feeling and mood, a colourful night – emerald and golden, orange and blue, with endless gradation of the colour... and white basilicas and figures: people with wings, white horses, clowns and objects, as if float in the silence of the night, in the deliberately ambiguous space. The artist sometimes looks at them from above: from remoteness of the sky the buildings with crosses are lost somewhere below, at the invisible junction of the sky and the earth; and sometimes, with disturbing splendor, he erects a temple in front of us, with a white, monumental outline along the entire length of the painting. The basilica theme introduced into the Georgian painting by Zaza Berdzenishvili is repeated from painting to painting and brings association of the oldest traditional cosmogonic mythologem: the sky and the earth and their connecting temple – the universal model of the Universe. In paintings entirety of the Universe is logically completed by the star in the sky and figures of people or animals. With each painting the artist personally bids farewell to the epoch where everything – the sky and the earth, stars, people, animals and plants, is the equal part of one, whole natural universe. Each picture reflects the sorrow caused by the loss of this universe and in each of them Zaza Berdzenishvili reconstructs this universe, shows its superiority. However, this is not a romantic reference – the time of glorious stories is over, so these are more postmodernist metanarratives, semiotic signs, more messages than narrative. These are interpretive discussions, expansion of one main “text,” for which the artist has invented his own alphabet, system of signs and icons elevated to the category of symbols through simplification and conventionalism, and represent a modern modification of ancient archetypes: a man-bird, with a glance upwards to heaven and wing-like hands, resembling mythic Icarus and indicating to loneliness of the man in the world and his unaccomplished dreams. Zaza Berdzenishvili introduces his own system of imagology to Georgian painting.

These images are in fact colour ideogrammes which are distanced from their original meaning. These ideogrammes create a “text,” which often repeats but the painting “model” changes and as a result, the same story gets totally different emotional intonation. The artist masters and uses the colour to express the entire range of feelings and reaches amazing effect not only with oil but with pens, gouache and pastel works which leave the impression of multilayer painting. Everywhere the colour has glitter of precious stones. Revealing full potential of gradation of the colour and reaching harmony through contrast is the advantage of the artist’s style. His extremely subtle painting offers an original version of estheticism and decorativeness. He uses the language of colours that is possessed only by true painters.

Zaza Berdzenishvili started his activities in 1980s. The generation of the 80s was at the verge of the old and new worlds and during this crisis period managed to create a new epoch in the Georgian Art. Against the background of common nihilism, when terrible events took place destructing traditional, spiritual landmarks in people’s consciousness, the generation of the 80s created new, postmodernist culture. This generation introduced into the Georgian Culture a new type of sensitive cognitive thinking, its own system of signs and artistic images, method of semantic coding. Zaza Berdzenishvili belongs to this generation but differs from it as well. His works are specific response to the reality: more crisis there is in the surrounding world, the more peaceful and harmonious is his world accompanied with dramatism. Thus, in the dehumanized world his way is humanism. In the huge space of the mankind’s existence, the artists feelings represent conscious or unconscious pain of the human being, because each of his paintings brings us back to the “earth, night dwelling of pain.” The mood of every picture causes deep remorse and sorrow, even when the theme is not sad. Why? The answer to this question lies so deep in the depth of wonderful colours and mysterious silence, that the viewer has to stare long at the picture not only to see but feel and fully share the mysterious feeling that emits with marvelous colourfulness from every painting.”


Baia Tsikoridze




ბაია გალერეა - გამოფენა “ახალი ადგილი”

Baia Gallery - the exhibition ‘New Place’ 2019


2. “ზოლიანი კატა” ქაღალდი, პასტელი. ‘Striped Cat’ pastel on paper, 24,5X34cm. 2018



3. "ზაბილონის დღის მცველი" ქაღალდი, პასტელი.  
'Day Guard of Babylon' pastel on paper, 53X43,8cm. 2006






4. "ზაბილონის ღამის მცველი" ქაღალდი, პასტელი.  
'Night Guard of Babylon' pastel on paper, 53X50cm. 2004



\*5. "ლოტოსის ყვავილობა" კაღადი, პასტელი.  
'Lotus Blossom' pastel on paper, 34,8X35,1cm. 2017



\*6. "ქარვა" კაღადი, პასტელი.  
'Amber' pastel on paper, 33,5X34,8cm. 2018



სერიიდან “მზესუმზირები” კადალდი, პასტელი.

\*7. 16,5X17,5cm. 2017

\*8. 21X20cm. 2017

9. 29X29,5cm. 2020

10. 20,5X19,5cm. 2017

From the series ‘Sunflowers’ pastel on paper.

\*11. 19,5X17,5cm. 2017

\*12. 19,7X19,3cm. 2017

\*13. 20,5X19,8cm. 2017


14. 24X22,3cm. 2017

მე 17



15. "მწვანე ნარინჯისფერზე" ქაღალდი, პასტელი. 'Green on Orange' pastel on paper, 26,3X35,3cm. 2017







16. სერიიდან “ბოთლი და ჭიქა” ქაღალდი, პასტელი  
From the series 'Bottle and Glass' pastel on paper, 30,3X30,4cm. 2017



17. სერიიდან “ბოთლი და ჭიქა” ქაღალდი, პასტელი  
From the series 'Bottle and Glass' pastel on paper, 32,9X34,9cm. 2017




\*18. სერიიდან “ბოთლი და ჭიქა” ქაღალდი, პასტელი  
From the series ‘Bottle and Glass’ pastel on paper, 34,5X36,7cm. 2017

\*19. სერიიდან “ბოთლი და ჭიქა” ქაღალდი, პასტელი  
From the series ‘Bottle and Glass’ pastel on paper, 35,8X35,5cm. 2017

\*20. “თასი” ქაღალდი, პასტელი  
‘Bowl’ pastel on paper, 2,3X29,2cm. 2017

21. “კრისტალები” ქაღალდი, პასტელი  
‘Crystals’ pastel on paper, 45,9X49,8cm. 2018



22. "ოქროს სხივი" ქაღალდი, პასტელი  
'Golden Ray' pastel on paper, 29X27,3cm. 2017


23. "მზიანი ღამე" ქაღალდი, პასტელი  
'Sunny Night' pastel on paper, 27,9X28,5cm. 2017

24. "ოქროსფერი საღამო" ქაღალდი, პასტელი  
'Golden Evening' pastel on paper, 32,3X36,2cm. 2017

25. "მზესუმზირები" ქაღალდი, პასტელი  
'Sunflowers' pastel on paper, 36,5X35cm. 2017




26. "ყვავილი" ქაღალდი, პასტელი.  
'Flower' pastel on paper, 26X26cm. 2017



27. “თასი” ქაღალდი, პასტელი.  
‘Bowl’ pastel on paper, 18X30cm. 2018

28. “ფირუზისფერი ნატურმორტი” ქაღალდი, პასტელი  
‘Turquoise Still-Life’ pastel on paper, 29x34cm. 2019

29. “მზესუმზირა” ქაღალდი, პასტელი  
‘Sunflower’ pastel on paper, 35X35cm. 2017




\*30. "ნატურმორტი" ქაღალდი, პასტელი. 2017  
'Still - Life' pastel on paper, 21X24cm.

31. "მზესუმზირა ლურჯზე" ქაღალდი, პასტელი,  
'Sunflower in blue' pastel on paper, 32x34cm. 2018

32. "თასი" ქაღალდი, პასტელი.  
'Bowl' pastel on paper, 22,3X29,2cm. 2017



33. "თამაში მზეზე" ქაღალდი, პასტელი.  
'Playing in the Sun' pastel on paper, 31X35cm. 2017



\*34. "თამაში მთვარეზე" ქაღალდი, პასტელი.  
'Playing on the Moon' pastel on paper, 29,9X28,5cm. 2019



\*35. "სათამაშოები" ქალაქი, პასტელი  
'Toys' pastel on paper, 24,2X31,5cm. 2020

\*36. "თამაში" ქალაქი, პასტელი  
'Play' pastel on paper, 30X30cm. 2017

37. "ცირკი" ქალაქი, პასტელი  
'Circus' pastel on paper, 30,9X32,3cm. 2017



40. "პეიზაჟი" კაღალი, შერეული ტექნიკა. 'Landscape' mixed media on paper, 29X41cm.






\*38. "სახლი, ლურჯი ცა და მწვანე კვიპაროზი" ქაღალდი, პასტელი.  
'House, Blu Sky and Green Cypress' pastel on paper, 45X56cm. 2012



\*39. "ცისფერი სახლი წითელი სახურავით" ქაღალდი, პასტელი.  
'Blue House with Red Roof' pastel on paper, 38,1X49,4cm. 2004



41. "ბაზილიკა" მუყაო, ტილო, ზეთი.  
'Basilica' cardboard, oil on canvas 30X30cm. 2008




42. "ნატურმორტი" მუყაო, ტილო, ზეთი.  
'Still-Life' cardboard, oil on canvas 30X30cm. 2008



43. "ცისფერი თასი და ყვითელი ლიმონები" მუყაო, ზეთი.  
'Blue Bowl and Yellow Lemons' oil on cardboard, 41X51cm. 2013



44. "მზესუმზირა" ქაღალდი, პასტელი  
'Sunflower' pastel on paper, 45,4X45,2cm. 2018



**ზაზა ბერძენიშვილი**

**18 თებერვალი, 1956. თბილისი, საქართველო**

1975 წელს დაამთავრა თბილისის იაკობ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელი. XX საუკუნის ბოლო ათწლეულები ქართული ხელოვნების განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაზაა. ახალგაზრდა მხატვრები, ერთიანი სტილის საზღვრებში საკუთარი ინდივიდუალიზმის ძიების კვალდაკვალ, თავად ქმნიან სტილურ სიახლეებს. მხატვრული ხედვის თავისებურება, მასალისა და ტექნიკის გამოყენების სპეციფიკურობა ამ თაობის მხატვართა დამახასიათებელი ნიშანია. ზაზა ბერძენიშვილის ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები მუდამ ფიგურატიული ხელოვნების საზღვრებში რჩება და, ამავდროულად, მოკლებულია ნარატიულობას. ერთი შეხედვით „ჩვეულებრივი“ მოტივები - სახლები, ადამიანები, ყოველდღიური საგნები, ქრისტიანული ბაზილიკები „უჩვეულო“ ვიზუალურ კონფიგურაციას იღებენ და, სხვადასხვა კონტექსტში წარმოდგენილნი, მისტიკური ტექსტებით იტვირთებიან. გამოსახულებათა ვიზუალური და კონცეპტუალური ერთობა ქვეცნობიერზე მოქმედებს და ჩვენს წარმოსახვაში არსებულ არქეტიპულ სახე-ხატებს - წარმართულ თუ ქრისტიანულ წარმოდგენებს აღვიძებს. კომპოზიციათა სახვით-დეკორატიული გადაწყვეტა, შუქმფენი ფერადოვნება განსაკუთრებული ემოციურობის მხატვრულ წყობას ქმნის და საიდუმლოებით მოცული შინაგანი დრამატიზმით აღსავსე მხატვრული სამყაროს თანამოზიარეს გვხვდის.

- პერსონალური გამოფენები:** „ბაია გალერეა“. თბილისი, საქართველო (1995, 2003).
- ჯგუფური გამოფენები:** მხატვრის სახლი. თბილისი, საქართველო (1980); გალერეა ვერნისაჟი. თბილისი, საქართველო (1996 - 2017); სააუქციონო სახლი „დრუო“. პარიზი, საფრანგეთი (1988); „ბაია გალერეა“. თბილისი, საქართველო (2000 - 2020); გალერეა „წითელი კვადრატი“. თბილისი, საქართველო (2015, 2016); თბილისის თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო ბაზრობა. ბაია გალერეა, საქართველო (2019).

ნანა შერვაშიძე



**Zaza Berdzenishvili**

**Born 18 February, 1956. Tbilisi, Georgia**

In 1975 Zaza Berdzenishvili graduated from the Tbilisi Iakob Nikoladze Art College. The last decades of the twentieth century had a tremendous impact on the evolution of Georgian art. Search for their individual forms of expression within the same artistic context led the artists of his generation to offer innovative stylistic solutions. Original vision and specific use of media and techniques distinguished the artists of this generation. Berdzenishvili’s paintings and graphic works remain within the boundaries of figurative art, but are at the same time devoid of narrativity. Motifs that recur in his works – houses, human beings, everyday objects, Christian basilicas - ‘conventional’ at first sight appear visually ‘unconventional’ and, being presented in different contexts, convey mystical texts. Visual and conceptual unity of the images has an effect on the subconscious bringing forth archetypal images, both pagan or Christian, in our imagination. Figurative and decorative solutions employed by the artist in his compositions and a radiating colour gamut contribute to the highly emotive artistic imagery inviting the viewer into the world of art full of drama and secrets.

- Solo exhibitions:** Baia Gallery. Tbilisi, Georgia (1995, 2003).
- Group exhibitions:** House of Artist. Tbilisi, Georgia (1980); Vernissage Gallery. Tbilisi, Georgia (1996 - 2017); Auction house Hôtel ‘Drouot’. Paris, France (1988); ‘Baia Gallery’. Tbilisi, Georgia (2000 - 2020); ‘Red Square’ Art Gallery. Tbilisi, Georgia (2015, 2016); TAF, International Contemporary Art Fair, Baia Gallery. Tbilisi, Georgia (2019).

Nana Shervashidze

თბილისის ხელოვნების ბაზრობა - Taf 2019



პროექტის ავტორი ბაია წიქორიძე / Author of the project Baia Tsikoridze

პორტფოლიოზე მუშაობდნენ / Portfolio prepared by:

ფოტო: გიორგი მორბედაძე / Photo: George Morbedadze

დიზაინი: ნინო მაღლაკელიძე / Design: Nino Maglakelidze

სარედაქციო ჯგუფი / Editorial group:

ნანა შერვაშიძე / Nana Shervashidze

სოფიო მერაბიშვილი / Sophia Merabishvili

ნინო ჭიაბრიშვილი / Nino Chiabrishvili

იაკო რუსაძე / Iako Rusadze



თბილისი, 0108, ინგოროყვას ქ.19<sup>ა</sup> / Tbilisi, 0108, 19<sup>a</sup> Ingorokva st.

Tel: +995 599 505302

[www.baiagallery.ge](http://www.baiagallery.ge) / [baiagalleryexpo@gmail.com](mailto:baiagalleryexpo@gmail.com) 